ხელშეკრულება №320206/01/66
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

(CPV) კოდი: **22111000** - სასკოლო წიგნები

ქ. თბილისი 02 მაისი 2013 წელი

ერთის მხრივ სსიპ ,,საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო" (შემდგომში ,,შემსყიდველი") **დირექტორის გიგა უმეკაშვილის სახით და მეორეს მხრივ შპს „Unique Learning"** (შემდგომში "მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი **დირექტორის მიხეილ გურგენიძის** სახით, (რომელიც წარმოადგენს ,,მაკმილან ედუქეიშენი"-ს, ექსკლუზიურ დისტრიბუტორს საქართველოში) ვხელმძღვანელობთ რა ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] **მუხლის** მე-3 **პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან 2013 წლის 08 აპრილის N1 და N2 ხელშეკრულებისა და საქართველოს მთავრობის 2013 წლის 18 აპრილის N320 განკარგულების** საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
1.3. „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.5. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ხელშეკრულების ფარგლებში.
1.6. „მომსახურება" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. **გრიფნინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოების მიწოდება**, თანმდევი შენახვის მომსახურების ჩათვლით. თანმდევი შენახვის მომსახურების ვადაა საქონლის მოწოდებიდან 30 დღე.
2.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის, რაოდენობა, ნიმუში და ფასები მოცემულია ტექნიკურ დავალებაში, დანართი №1 და დანართი №2 (ნიმუში- წიგნი და რვეული) რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. ხელშეკრულების მოქმედების ვადები

3.1. ხელშეკრულება ძალაში შედის გაფორმების დღიდან და მოქმედებს 2013 წლის 05 ივლისის ჩათვლით და/ან მის სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.

4. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

4.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს: **629 500 (ექვსასოცდაცხრა ათას ხუთასი) ლარს.**

4.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება უნდა შეიცავდეს შემსრულებლის მიერ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს და შენახვის ხარჯებს.

5. მომსახურების გაწევის ვადები წესი და ადგილი

5.1. მიწოდების კონკრეტული ვადები და ეტაპები მოცემულია ხელშეკრულების 3.1. პუნქტში.
5.2. წიგნების მოწოდება უნდა განხორციელდეს სათანადო შეფუთვით (პოლიეთილენი ან ქაღალდი) რაზედაც აღნიშნული იქნება კონკრეტული სახელმძღვანელოს დასახელება, რაოდენობა და წიგნის კოდი.
5.3. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიწოდება.
5.4. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ადგილია ქ. თბილისი, ხოლო მოწოდება განხორციელდება ქ. თბილისის ტერიტორიაზე მიმწოდებლის მისამართზე.
5.5. მომსახურების გაწევა ხდება ამ ხელშეკრულების დადგენილი წესის მიხედვით.

6. მხარეთა ვალდებულებები და გარანტიები

6.1. მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს შემსყიდველს ამ ხელშეკრულების 2.1.პუნქტში მითითებული უნაკლო მომსახურება.
6.2. თუკი ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება არ აღმოჩნდება სრულყოფილი, მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველის მოთხოვნისთანავე, გამოასწოროს ეს ნაკლი.
6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით
6.4. შემსყიდველი ვალდებულია მომსახურების სრულყოფილად გაწევის შემდეგ გადაიხადოს მისი ფასი ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;
6.5. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება უშუალოდ მიმწოდებლის საწყობში ადგილზე;
6.6. მიმწოდებელი ვალდებულია ხარისხის პრევენციის მიზნით, განახორციელოს მოცემული ტექნიკური პარამეტრების შესაბამისობა გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოსთან მიმართებაში;

6.7. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას მისთვის დაუძლეველი გარემოებების დადგომისას, რითაც საფრთხე შეექმენება ვალდებულების შესრულებას, დაუყოვნებლივ გამონახოს ალტერნატიული გზები და საშუალებები ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისა და ვადების დაცვით.

7. ანგარიშსწორების ფორმა და წესი

7.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.
7.2. ანგარიშსწორება განხორციელდება მომსახურების გაწევის, შესაბამისი საგადასახადო ანგარიშფაქტურისა და მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღის განმავლობაში;

7.3. საავანსო ანგარიშსწორების წესი და პირობები:

ა) მიმწოდებლის მოთხოვნის შემთხვევაში შემსყიდველი წინასწარ ანგარიშსწორებას ახორციელებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების არაუმეტეს 50%-ის ოდენობით. მიმწოდებლის მიერ, ამავე თანხაზე წარმოდგენილი საბანკო გარანტიის საფუძველზე. რომლის მოქმედების ვადაც მინიმუმ 30 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას. საბანკო გარანტია გაცემული უნდა იყოს მხოლოდ საბანკო დაწესებულების მიერ.
ბ) ავანსის გამოქვითვა განხორციელდება ავანსად გაცემული თანხის შესაბამისი ღირებულების შესრულებული მომსახურების მოცულობის სრული ოდენობით. რის შემდეგაც შემსყიდველი უბრუნებს მიმწოდებელს საბანკო გარანტიას წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე.

გ) ავანსად გაცემული თანხის სრულად გაქვითვის შემდეგ, შემსყიდველი გაწეულ მომსახურებაზე ანგარიშსწორებას განახორციელებს ეტაპობრივად, მიღება-ჩაბარების გაფორმებისა და ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში.

8. ხელშეკრულების ინსპექტირება

8.1. ხელშეკრულების პირობების შესრულების მიზნით შემსყიდველი ინსპექტირების ჯგუფის მეშვეობით ახორციელებს კონტროლსა და ზედამხედველობას უშუალოდ მიმწოდებლის ადგილზე. ინსპექტირბის ჯგუფის წევრები განისაზღვრება შესაბამისი ადმინისტრაციული აქტით, რომელთა ვინაობა წერილობით წინასწარ იქნება ცნობილი.
8.2. მიღება-ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირები განისაზღვრება შესაბამისი ადმინისტრაციული აქტით.
8.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. შესყიდვის საგნის მიღება-ჩაბარების წესი

9.1. მიღება-ჩაბარება შესაძლებელია განხორციელდეს ეტაპობრივად, მაგრამ საბოლოო ვადა უნდა იყოს 2013 წლის 05 ივლისის ჩათვლით.
9.2. შესყიდვის ობიექტი მიღებულად ჩაითვლება მიმწოდებლის მიერ მითითებულ მისამართზე: ქ. თბილისი, ქინძმარაულის ქ. N15.
9.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისას, მას შემდეგ რაც მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ინვოისი/ანგარიშ-ფაქტურა.
9.4. შემსყიდველის მიერ მიღება-ჩაბარება ფორმდება საქონლის მიწოდებიდან არაუგვიანეს ორი სამუშაო დღისა.
9.5. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს სათანადო სასაწყობე ფართის მოძიება და მიმწოდებლის მიერ, შეთანხმებულ მისამართზე საქონლის/მომსახურების მიწოდებისთანავე უზრუნველყოს მისი მიღება/ჩაბარება, წინააღმდეგ შემთხვევაში აუნაზღაუროს მიმწოდებელს დამზადებული პროდუქციის იძულებით დასაწყობებაზე გაწეული ხარჯი.

10. ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ინსპექტირების ჯგუფის მიერ აღმოჩენილი ხარვეზის შემთხვევაში შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება, რა დროსაც მიმწოდებელი ჯარიმდება ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5% -ით.
10.2. შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება მიმწოდებლისათვის ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ თუ:
ა) მიმწოდებლის მიმართ დაიწყო გაკოტრების საქმის წარმოება;
ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

11. მხარეთა პასუხისმგებლობა

11.1. მხარეებმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები უნდა შეასრულონ ჯეროვნად, კეთილსინდისიერად ხელშეკრულებით დათქმულ დროსა და ადგილას. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
11.2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები, რომელთა ფორმა, ოდენობა, ამოქმედების პირობები და გადახდის ვადები განსაზღვრულია ხელშეკრულების ამ მუხლში.
11.3. თუ მიმწოდებელი ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადის ფარგლებში ვერ შეასრულებს ნაკისრი ვალდებულებებს, შემსყიდველი უფლებამოსილია:
ა) შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება და მიმწოდებელი ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულებისათვის დააჯარიმოს ხელშეკრულების საერთო თანხის **5%**-ის ოდენობით ან
ბ) განუსაზღვროს მომსახურების გაწევისთვის მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებული დამატებითი ვადა, რა ვადაშიც მიმწოდებელი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე იხდის, პირგასამტეხლოს ხელშეკრულების ეტაპზე მიუწოდებელი საქონლის ღირებულების **0,3%**-ის ოდენობით.

11.5. თუ კი შემსყიდველს შექმნილი ფაქტობრივი გარემოების შეფასების შედეგად წარმოეშობა საფუძვლიანი ეჭვი რომ მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების განახორციელებას, ხოლო შემსყიდველის ვალდებულება იქნება შესრულებული, იგი უფლებამოსილია ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება რა შემთხვევაშიც მიმწოდებელი ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულებისათვის დაჯარიმდება ხელშეკრულების საერთო თანხის 5%-ის ოდენობით.

12. ფორს-მაჟორი

12.1. მხარეებს არ დაეკისრებათ პასუხისმგებლობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან ვადის გადაცილებისათვის თუკი, შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებებით.

12.2. ამ მუხლის მიზნებისათვის ფორს-მაჟორი ნიშნავს ისეთ გარემოებებს, რომელთა არსებობის გამო მხარისათვის ობიექტურად შეუძლებელი იყო სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება (სტიქიური მოვლენები, საომარი მოქმედება, ეპიდემია, კარანტინი, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება, მომსახურების მიწოდებაზე ემბარგოს დაწესება, სახელწიფო გადატრიალება და სხვ).

12.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, პირველი შესაძლებლობისთანავე უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ, რაც წერილობით უნდა დაუდასტუროს შემსყიდველმა. თუ შემსყიდველი დამდგარ გარემოებას არ ჩათვლის ფორსმაჟორად, მიმწოდებელი ვალდებულია გააგრძელეოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება და გამონახოს ამ ვალდებულების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები და გზები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებებისაგან.

12.4. მხარეთა მიერ გათვალისწინებული ფორსმაჟორული გარემოებების გასვლის შემდეგ, თითოეული მხარე ვალდებულია შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმდებიან.

13. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის და შეწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

13.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

13.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
13.5. ხელშეკრულების 13.4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ინიციატორი მხარე ვალდებულია გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 10 სამუშაო დღით ადრე წერილობით აცნობოს ამის შესახებ მეორე მხარეს.

14. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია

14.1. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით მიმწოდებელი წარუდგენს შემსყიდველს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 3%-ან (მხოლოდ საბანკო დაწესებულების მიერ) გაცემულ უპირობო საბანკო გარანტიას, ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.
14.2. გარანტიის წარმოუდგენლობა გამოიწვევს ხელშეკრულების შეწყვეტას და მიმწოდებელი დაჯარიმდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5%-ის ოდენობით.
14.3. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი უპირობო გარანტია გამოიყენება ნებისმიერი ზარალის ანაზღაურების მიზნით, რომელიც მიადგება შემსყიდველს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან ხელშეკრულების არაჯეროვნად შესრულების გამო.
14.4. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულების შემდეგ შემსყიდველი ვალდებულია დაუბრუნოს მიმწოდებელს ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტია და/ან მასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია 14 დღის განმავლობაში;
14.5. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი იყენებს გარანტიას მისთვის ხელშეკრულების შეწყვეტის შედეგად მიყენებული ზიანის ფარგლებში;
14.6. მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველია ვალდებულია მიმწოდებელის მოთხოვნისთანავე დაუბრუნოს მას ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია. ამასთან სრულად აუნაზღაუროს ხელშეკრულების შეწყვეტამდე დამზადებული პროდუქციის ღირებულება.
14.7. გარანტია უნდა იყოს უპირობო, კერძოდ: გარანტიით გათვალისწინებული თანხები შემსყიდველმა უნდა მიიღოს ყოველგვარი დამატებითი განმარტებისა და მტკიცებულებების წარდგენის გარეშე, პირველივე მოთხოვნისთანავე.
14.8. იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი აამოქმედებს გარანტიას და ამ გარანტიით გათვალისწინებული თანხები ამოიწურება, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოადგინოს ახალი გარანტია. წინააღმდეგ შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ამ ხელშეკრულების მოქმედება.

15. დავების გადაჭრის წესი

ამ ხელშეკრულების შესრულების დროს წამოჭრილი ყველა დავა შეძლებისდაგვარად გადაიჭრება მხარეთა შორის მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას წყვეტს სასამართლო.

16. დასკვნითი დებულებები

ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად (ორი რჩება შემსყიდველს, ერთი – შემსრულებელს).

მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები:

სსიპ ,,საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო", მისამართი: ქ. თბილისი, ალექსიძის N1, შენობა–ნაგებობა N1, მე–2 სართული, ს/კ 202294980; სახელმწიფო ხაზინა, ა/ა 200122900, კოდი: 220101222
დირექტორი: გიგა უმეკაშვილი

(ხელმოწერა)

მიმწოდებელი: შპს „Unique Learning" ; ს/კ 404921545; იურიდიული მისამართი; ქ. თბილისი ფალიაშვილის N116;
მიმღები ბანკი: სს „თი ბი სი ბანკი, კოდი : TBCBGE 22
ანგარიშის ნომერი: № GE87TB7449736080100002

დირექტორი:

მიხეილ გურგენიძე

(ხელმოწერა)

დანართი N1

დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	ჯამი
Gateway A2 სახელმძღვანელო	23489	5	117445
Gateway A2 რვეული	30918	5	154590
Gateway B1 სახელმძღვანელო	15419	5	77095
Gateway B1 რვეული	19766	5	98830
Gateway B1+ სახელმძღვანელო	15863	5	79315
Gateway B1+ რვეული	20445	5	102225
		სულ ჯამი	629500

შპს „Unique Learning"

დირექტორი

მიხეილ გურგენიძე

სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო"

დირექტორი

გიგა უმეკაშვილი

MACMILLAN

Macmillan Education

Macmillan Oxford
Between Towns Rd
Oxford
OX4 3PP
UK

Tel: +44 (0)1865 405700
Fax: +44 (0)1865 405701
e-mail: info@macmillan.com

www.macmillaneducation.com

Ministry of Education and Science

Georgia

25th April 2013

To whom it may concern,

I am writing to confirm that 'Unique Learning' is Macmillan Education's exclusive distributor for 'Gateway' levels A2, B1 and B1+ in the territory of Georgia.

Macmillan hereby authorises 'Unique Learning' to sell these books to the Ministry of Education and Science of Georgia at a price of 5GEL per Student's Book and 5GEL per Workbook.

Macmillan has provided 'Unique Learning' with special conditions to allow the onward sale of these books to the Ministry of Education and Science at this price. However, these special conditions are only applicable for one initial order. The price of subsequent orders will be reassessed based on the required quantities and delivery times.

The above declaration concerns the following books:

Gateway A2 Student's Book	9780230723382
Gateway A2 Workbook	9780230723399
Gateway B1 Student's Book	9780230723443
Gateway B1 Workbook	9780230723450
Gateway B1+ Student's Book	9780230723504
Gateway B1+ Workbook	9780230723511

Yours faithfully

Andy Poole
Regional Sales Director
Central and Eastern Europe

Macmillan Education
Macmillan Oxford
Between Towns Road
Oxford
OX4 3PP
United Kingdom

Macmillan Education is a division of Macmillan Publishers Ltd

Registered Office:
Brunel Road, Houndmills
Basingstoke, Hampshire RG21 6XS
Registered Number: 785998 England

MACMILLAN
Macmillan Educational
Macmillan Oxford
ქალაქებს შორის გზა
Oxford
OXA ЭPP
გაერთიანებული სამეფო
ტელ.:+44 (())1865 405700
ფაქსი: + (())1865 405701
www.macmillaneducation.com

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს
საქართველო

25 აპრილი, 2013 წ.

დანიშნულებისამებრ,

ამ წერილით გიდასტურებთ, რომ "Unique Learning" (უნიკალური სწავლება) არის Macmillan Education-ის ექსკლუზიური დისტრიბუტორი "Gateway"-ის A2, B1 da B1 + დონეებისა საქართველოს ტერიტორიაზე.

წინამდებარე წერილით "Unique Learning"-უფლებამოსილებას აძლევს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გაყიდოს ეს წიგნები 5 ლარად თითოეული Student's Book და 5 ლარად თითოეული Workbook.

Macmillan -მა მისცა "Unique Learning" განსაკუთრებული პირობები, რათა ეს წიგნები პირდაპირი წესით მიყიდოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ამ ფასად. მაგრამ ეს განსაკუთრებული პირობები გამოიყენება მხოლოდ ერთხელ, პირველი შეკვეთისთვის. მომდევნო შეკვეთების ფასი გადაიხედება იმისდა მიხედვით, თუ რა რაოდენობის მოთხოვნა იქნება და რა დროში.

ზემოთ მოყვანილი განცხადება ეხება შემდეგ წიგნებს:

Gateway A2 Student's Book	9780230723382
Gateway A2 Workbook	9780230723399
Gateway B1 Student's Book	9780230723443
Gateway B1 Workbook	9780230723450
Gateway B1+ Student's Book	9780230723504
Gateway B1+ Workbook	9780230723511

პატივისცემით,
(ახლავს ხელმოწერა)
ენდი პული
რეგიონალური გაყიდვების დირექტორი
ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში

Macmillan Education
Macmillan Oxford
Between Towns Road
Oxford
OX4 3PP
გაერთიანებული სამეფო

Macmillan Education არის შპს "მაკმილან გამომცემლობის" განყოფილება
რეგისტრირებული ოფისი:
Brunel Road, Houndmills
Basingsloke, Hempshire RG21 GXS
რეგისტრაციის №: 785998 ინგლისი

თარგმანი სწორია:

ე. სტეფანიანი

საქართველო, თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 26/ბაზალეთის ქ. №1
Грузия, Тбилиси, пр. Ильи Чавчавадзе, 26/ул. Базалетская, №1
Georgia, Tbilisi, Ilia Chavchavadze Ave., №26/Bazaleti St., №1

01.05 2013 წლის 5-ოვლ მაია

მე, ნოტარიუსი მაია ბრეგვაძე ვამოწმებ თარჯიმნის **ელენე სტეფანიანის** (დაბ. 24.12.1964წ., პირადი № 01030029253, პ/მ № ბ 1358466, გაცემული სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის მიერ 18.12.2009 წ., მცხოვრები მისამართზე: ქ. თბილისი, სულიაშვილის №8; დიპლომი НВ №063373, გაც. 1987 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ, სპეციალობით რუსული ენა და ლიტერატურა, რეგისტრაციის № 01/1871; დიპლომი РВ №708119, გაც. 1993 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ, სპეციალობით ინგლისური ენა და ლიტერატურა, რეგისტრაციის № 01/2461)

Я, нотариус Майя Брегвадзе заверяю подлинность подписи переводчика **Елены Степанян** (род. 24.12.1964 г., личный № 01030029253, Удостоверение личности №Б 1358466, выд. службой Дидубе-Чугуретского р-на г. Тбилиси Агентства Гражданского Реестра 18.12.2009 г., прож. по адресу: г. Тбилиси, ул. Сулиашвили, №8; диплом НВ №063373, выд. Тбилисским Государственным Университетом в 1987 г., специальность – Русский Язык и Литература, регистрационный № 01/1871; диплом РВ №708119, выд. Тбилисским Государственным Университетом в 1993 г., специальность – Английский Язык и Литература, регистрационный № 01/2461).

I, the notary Maia Bregvadze, certify the authenticity of the signature of a translator **Elene Stepanyan** (born 24.12.1964, Personal # 01030029253, IC #B 1358466, issued by Department of Didube-Chughureti District, city of Tbilisi, of Civil Registry Agency 18.12.2009, resident of 8, Suliashvili St., city of Tbilisi; diploma HB №063373, issued by Tbilisi State University in 1987, Specialty – Russian Language and Literature, registration N 01/1871; diploma PB #708119, issued in 1993 by Tbilisi State University, specialty English Language and Literature, registration #01/2461)

ხელმოწერის ნამდვილობასა თარგმანზე, რომელმაც ჯეროვნად იცის ენა
которая надлежаще владеет языком
who is duly authorized to translate into and from the language
და უზრუნველყოფს თარგმანის სიზუსტეს.
и несет ответственность за верность перевода.
and who witnesses to the accuracy of the translation.

გადახდილია ნოტარიუსის საზღაური თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების გადების დამტკიცების შესახებ დადგენილების (საფუძველი: 29.12.2011 წლის საქართველოს მთავრობის დადგენილება №507) 31-ე მუხლის [illegible] პუნქტისა, დღგ თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა [illegible] რეგისტრაციის საფასური 39-ე მუხლის I-ლი პუნქტისა, სულ გადახდილია:

Уплачена нотариальная пошлина в размере, установленном положениями о вознаграждении за выполнение нотариальных действий, предусмотренном постановлением правительства Грузии №507 от 29.12.2011 г. о нотариальной палате «Правила оплаты и сроки оказания услуг» (статья 31, пункт 3), НДС согласно 169-й статье налогового кодекса Грузии и вознаграждение за регистрацию нотариального действия *I* пункту 39-й статьи; всего уплачено:

Notary duty paid for notary services according to provisions about payment for notary actions provided for by resolution #507 passed 29.12.2011 by Government of Georgia about Notary Chamber of Georgia "Payments Regulations and Terms of Services Rendering" (Article 31, paragraph 3), VAT according to Article 169 of the Georgian Civil Code and fees for a notary act registration according to paragraph 1 of Article 39, total fees paid:

ლარი 4,36
Лари 4,36
GEL 4,36

ნოტარიუსი მ. ბრეგვაძე
Нотариус М. Брегвадзе
Notary M. Bregvadze

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N130430936
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	01.05.2013 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებულ მთარგმნელის ხელმოწერის დამოწმება
ნოტარიუსი	მაია ბრეგვაძე
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ.თბილისი, ბაზალეთის ქ1
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2 29-40-92
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	68539593976513

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18